საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 107
თარიღი: 24 12 2018 წ.

N 18170/1
12/12/2018

18170-1-2-201812121206

ფაქტ - მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს

ასლი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ბატონო დავით,

შპს „ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" (შემდგომში - კომპანია) განიხილა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N01/4492 წერილით (კომპანიაში რეგისტრაციის №1/30630; 27.11.2018) წარმოდგენილი თქვენი 2018 წლის 22 ნოემბრის N218 განცხადება, საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ კურორტ აბასთუმანში მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოები, სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბილდინგ დეველოპერი", აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 16 ნოემბრიდან 2019 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ღირებულება შეადგენს 3 727 121, 97 ლარს.

რაც შეეხება, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სოფელ გუდაურში დაგეგმილია წყალმომარაგება - წყალარინების სისტემის მშენებლობა, რომლის განხორციელების სავარაუდო თარიღია 2019 წლის იანვრიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით, ასევე დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც სავარაუდოდ განხორციელდება 2019 წლის თებერვლიდან 2020 წლის სექტემბრის ჩათვლით.

გაცნობებთ, რომ დაბა ბაკურიანში, მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის I ეტაპის სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს უცხოური საწარმოს ფილიალი „გროსინვესტ კაპიტალი", აღნიშნული ხელშეკრულების ვადა მოქმედებს 2017 წლის 29 სექტემბრიდან 2019 წლის 13 იანვრის ჩათვლით, ხოლო ღირებულება შეადგენს 2 975 948, 00 ლარს.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

ასევე, დაგეგმილია დაბა ბაკურიანი - მიტარბის წყალმომარაგების სისტემის ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევის განხორციელება, წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. პროექტის განხორციელების სავარაუდო თარიღია 2019 წლის მაისიდან 2020 წლის მაისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ეკატერინე გალდავა

დირექტორი

ხელმძღვანელობა